

79




ქილოცავეთ ხალგაზრდა ვერდიელი

გზიეთი გომოდის
1921 წლიდან

1
იანვარი
ხალგაზრდა
1991
№ 1
(11634)

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კპპ.



ი. დიმიტრიძე



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დანიშნა:

უპრემიერი პალვას კე ბენდელიანი



საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო არხიტრად:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

28 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგ სხდომაზე გაგრძელდა მის დღის წესრიგში შეტანილ საკითხთა განხილვა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება კანონით გათვალისწინებული უპირატესი ფორმირების აპრკლპის შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მხოლოდ კანონი წინადადებას წარმოადგენს — ერთნაირი გვარდის შექმნის შესახებ, რაც აძლევს შესაძლებლობას საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს მოახდინონ თავიანთი საპარტიო ვალი სამშობლოს წინაშე, და აგრეთვე მხედველობაში იღებს რა

იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკაში მოქმედი კანონით გათვალისწინებულ ფორმირებებს დესტაბილიზაცია შეაქვთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, საფრთხეს უქმნიან სამოქალაქო მშვიდობას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და კანონით დაცულ ინტერესებს,

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს: 1. აიკრძალოს რესპუბლიკაში კანონით გათვალისწინებულ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნა და მოქმედება. 2. წინადადება მიეცეთ კანონით გათვალისწინებულ შეიარაღებულ ფორმირებებში გაერთიანებულ პირებს ერთი თვის ვადაში ჩააბარონ იარაღი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგეთა ორგანიზაციებს. 3. დადგინდეს, რომ, თუ ამ დადგენილების მეორე პუნქტში აღნიშნული პირები დატყვევდნენ, დასჯის ნებაყოფლობით ჩააბარებენ იარაღს, მათ მიმართ არ იქნება გამოყენებული კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ღონისძიებანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახურდია 1990 წლის 28 დეკემბერი.

გატონივილი გიორგი ბაგრატიონს

თქვენო უმაღლესობაში დიდ მადლობას ვიძღვებთ მოლოცვისათვის საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ჩემი არჩევის გამო. დღეს საქართველოში იწყება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი პირი კვლავც გმირულად იბრძოდეს თავისუფლებისათვის, ვითარცა ეს ვეადრება ჩვენი დიდი წინაპრების ღირსეულ შთამომავალი. ვუჭერთ, შორს აღარ არის ის დღე, როდესაც თქვენი უმაღლესობა სამშობლოში ჩამობრძანდება და პირადად მოგვეცემა თქვენი გაცნობის შესაძლებლობა. გულწრფელი პატივისცემით

ზვიად ბამსახურდია.

რეგისტრირებულია გაზეთი „სოფლის ცხოვრება“

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დეთანხმდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადებას და ბუკდებით სიტყვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციის თანამშრომელთა აზრის თანხმად, რეგისტრაციაში გაატარა გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გაზეთი.

სს „საქართველო“-საქინფორმ.

პრონია

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დანიშნა: — ვაჟა ლორთქიფანიძე — საქართველოს რესპუბლიკის განმრთვლობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პირველ მოადგილედ; — ავთანდილ წილობანი — საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის პირველ მოადგილედ. სს „საქართველო“-საქინფორმ.

1942 წელს ბერლინში დაარსებული და ახლახან თბილისში აღდგენილი ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალად იქცა საქართველოში. 29 დეკემბერს, რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრში გაართული საგანგებო ყრილობის შედეგად, რესპუბლიკის მმართველ საპარლამენტო კოალიციაში შემაჯალ ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირში გაერთიანდა რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია. როგორც ჩანს, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დასაბამი მიეცა პატარ-პატარა პოლიტიკური დაჯგუფებების ურთიერთშერწყმას, გამსვილებას, რაც, უდავოდ, პოლიტიკური აზროვნების მოწიფულობის ნიშანია. საგანგებო ყრილობის მონაწილე ხუთსამა წევრმა ერთხმად მიიწონა პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანება. ამ ორი მნიშვნელოვანი ძალის ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაქცევა კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის იდეას, ალბათ, კიდევ უფრო პოპულარულსა და მიმზიდველს გახდის ახლო მომავალში.



მონარქიის აღდგენის იდეა კალას იბრებს



ტრადიციონალისტთა კავშირის სახელწოდება შერჩეს, ბაგრატიონთა სამეფოს აღდგენის იდეას ჩვენს შორის არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია, ორივე ორგანიზაციას ღრმად გვყავდა და გვწამს, რომ ერთნაირი სახელმწიფოს შენებისას გასათვალისწინებელია ქართული ტრადიცია.

— ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისა და რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის გამართიანებული ყრილობა, საქართველოში არსებული მცირე პოლიტიკური დაჯგუფებების გაერთიანების აუცილებლობის ნათელი მაგალითია, — თქვა რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ბატონმა დავით მარლიანამ. — სწორედ დაქსაქსული,

სუსტი. წინასაარჩევნო ბრძოლის შედეგია ის, რომ პოტენციურად საძიად ძლიერი ბლოკი „თავისუფლება“ პარლამენტს მიღმა დარჩა. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ ბლოკის წინასაარჩევნო ბრძოლის ტაქტიკის გაუზიარებლობამ განაპირობა ჩვენი ბლოკის კრახი. თანამედროვე პირობებში მდგომარეობა თანდათანობით იცვლება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ჩვენს გაერთიანებას, შექვემდებარებას მოითხოვს.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისა და რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის გამართიანებული საგანგებო ყრილობის დასასრულს, დღეგატემა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარედ კვლავ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილე ბატონი აკაკი ასათიანი აირჩიეს. კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია ბატონი ბადრი ფხალიაძე. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირიდან საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შემაჯალ დეპუტატთა სპიკერად არჩეულია ბატონი გიზო კორძაძე, ამავე კავშირის აღმასრულებელ მდივად — ბატონი დავით მარლიანია.

ყრილობის დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ ინგუში ხალხის ერთგულ-გამათვისებულ ლე ბელ ნ მობრბობის ერთ-ერთი ლიდერი ბატონი ისა კოძოვერი, საქართველოში მცხოვრები ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლები.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

მიღებულია ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წესდება. ყრილობამ მიმართები გაუგზავნა მის სამეფო უმაღლესობას ბატონიშვილ გიორგი ბაგრატიონს, ქართველ ერს. ბაბატ ბინცაძე, სს „საქართველო“

30 დეკემბერს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ საქოგველთაო განხილვისათვის გამოკვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრესისა და მასოგრივი ინფორმაციის


სხვა საშუალებათა შესახებ“ (პროექტი). გთხოვთ, თქვენი წინადადებანი და შენიშვნები მოგვავოდოთ რედაქციაში.

გილოცავთ დაბადების დღეს!

გაზიკვირდამ? პირველ იანვარს ერთმანეთს სხვა სიტყვებით ულოცავინ არა? მართალია, მაგრამ დღეს, თქვენის ნებადრებით, ტრადიციას დავამრავლებთ. დალოცვილი იყოს ჩვენი ზიზის მიწები — 1991 წლის 1 იანვარი! და იმანვე ჯამბიზვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტების, მირ მდომადიშვილი პირველი, I, № 1 (!) გაზეთი.

ინტერვიუ, ინტერვიუ, ინტერვიუ... შემოგთავაზებთ სპორტულ თემაზე აკაცი ბაქრაძისთან. ინტერვიუში შევეხებით ყველაფერს — ზეპირპირ პოლიტიკის, ეკონომიკის, ლიტერატურისა.

ის ხვალ, დღეს კი... დღეს კი ახალი წელია... ულოცავს ბატონ აკაცი ამ შესანიშნავ დღესასწაულს და სთხოვს ღმერთს მისი ყველა სახალწლო სურვილის ასრულებას!



ჩვენი მაკვლა

ტსუ შურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი (ბატონი ნოდარ ტაბიძე)

- ბატონო ნოდარ...
- სასმისებს, რა თქმა უნდა, მე შეგივებთ.
- ჩვენი ბოლომდე დავცლით.
- ამისთვის ნიჭი, შინაგანი კულტურა და გამძლეობა საჭირო.
- და არა მარტო ეს... თამაღის ოსტატობაც.
- ჩქნებ იუმორის გარეშე... ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებს „თბილისის“ და სხვა გაზეთების სპეციალური ნომრებიც გამოუშვით, „რევიუს“ ერთ-ერთი პირველი ნომერიც ჩვენ შევქმენით, მაგრამ თქვენთვის ჩანაფიქრი ხელ სხვაა. აჰ, ალბათ, ღიმილით უნდა გაკეთდეს. დიდი საქმე.
- არა მარტო ღიმილით.
- ძალიან ნუ ეცდებით, თორემ შეიძლება შტატისანი ყურნალისტები უმუშევრები დარჩნენ.
- ღმერთო ჩემო, ისევ იუმორი.
- დე, თქვენ იყოთ პირველი მერცხლები. ისე, ჩვენ, ყველას უზარმაზარი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. თითქმის პოლარულად უნდა შეიცვალოს სხდომისა და წრთობის ფორმები და მეთოდები, მასშტაბურობა, ეროვნული ძარღვი, პროფესიონალიზმი, — აი, თავი და თავი. ძალიან ხმაბლად ნათქვამი ხომ არ გამოგვდის? ვითუ, თქვენი გაზეთის საერთო ჩარჩოდან ამოვარდეს...
- სჯობს, ისევ შეგვივხვით სახმისებში.
- კეთილი, ანი, პირველს თქვენ იტყვიან. აბა, დავიწყეთ!

„არა სიტყვითა სოლო...“

- რომელი საათია?
- გაცნობის დროა.
- მაშ, გავიცნოთ!

ჩვენ: უნივერსიტეტები, 18-19 წლის ახალგაზრდა ყურნალისტები, დღეს ვაპირებთ წარმოვაჩინოთ და დავამკვიდროთ სტუდენტთა პირველი დამოუკიდებელი გაზეთი „...“.

დიდი სურვილი გვაქვს, თვეში ან ორ თვეში ერთხელ მზინც „ახალგაზრდა ივერიელს“ „მოუპაროთ“ 4 გვერდი და შეგზავდეთ, რათა გავიზიაროთ ის, რაც ყველაზე მეტად გაინტერესებთ თქვენ, მხოლოდ თქვენ, ერთადერთს. ვეცდებით, სერიოზული, მნიშვნელოვანი საკითხები განვტვირთოთ საინტერესო, სახალისო, კუროზული ინფორმაციებით.

„...“ ჩქნება სასურველი სტუმარი თქვენს ოჯახში, თანამგზავრი — მგზავრობისას, მეგობარი — გართობისას, მესაიდუმლე — მარტობისას. „...“ თქვენი გაზეთია, ყველა ახალგაზრდას — 14-დან 84 წლამდე.

„...“ — ესაა განუსაზღვრელი ახალგაზრდული შესაძლებლობანი!

„...“ — თქვენი ფიქრია, თქვენი განსჯა, თქვენი არჩევანი!


„...“ — ჩვენი აზრებია — დაწერილი და დაუწერიელი!

„არა სიტყვითა სოლო, არამედ საქმითა ჭეშმარიტითა“.

გილოცავთ ახალ წელს!

- თქვენი აზრით, რა დირს ახალი წლის პირველ დღეს გაზეთის წაკითხვისთვის დახარჯული ყოველი წუთი?
- ერთი ჩურჩხელა.
- ასე ტყბილად დამიბერდით!

ვისაც ამ მშვენიერ საღამოს ჰორიზონტალის ვერტიკალისაგან გარჩევა ძალუქს



თარაზულად: 1 მდინარე სამხრეთ ამერიკაში, 8 აფრიკის სახელმწიფო, 8 ფრანგი მათემატიკოსი, 10. უანგაფა, 13. ლიტვის უძველესი ქალაქი-ციხესიმაგრე, 14. ხალხი. სისხლით, კულტურით, ენით ერთიანი აღმოსავლეთის ერთობლიობა, 15. ოპერის, ბალეტის, ოპერეტის და სხვ. ხარკებტრო შეხვევალი, 16. სახალხო კრება, თავყრილობა, უკრაინაში, 17. სამხრეთ ამერიკის უდაბნო, 19. აფრიკის სახელმწიფო, 20. გამოცხვარი პროდუქტი, 25. ხანამართლის დადგენილება, რომლითაც ბრალდებულს ათავისუფლებენ სასჯელისაგან, 26. ბუნებრივი წყალხაღვი, რომელიც არ უკავშირდება ზღვას ან ოკეანეს, 27. წინასწარ მონახაში ნახატისა, სკულპტურისა, 30. მრავალწლოვანი ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე, 31. სოფელი გორის რაიონში, 32. პატარა ძაღლის თანავარსკვლავედის ვარსკვლავი, 33. საიდუმლო პოლიციის ორგანო მეფის რუსეთში.

შვებულად: 1 ხასიათი, ბუნება, თვისება, 4. ცხოველთა თავყვანისცემა ძველი ხალხების (ეგვიპტელების, ინდოელების და სხვათა) რელიგიებში, 5. ცოცხალშობი თევზი, რომელიც მაღარობს კოლო-მატლებს ანადგურებს, 6. ქიმიური ელემენტი, 7. რუხი მოგზაური, 8. მდინარე თბილისის შიდამოებში, 9. პირველყოფილი ქაოხი მუშაობის მეთოდოგიაში, 10. ხიბრძის ქალმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, 11. სახელისონო მხატვრისა, მოქანდაკისა, 18. პერმეტულ გარსში მოქცეული მოქნილი ხაღანი, 20. გერმანიის შიარადებული ძაღლის სახელწოდება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ 1935 წლამდე, 21. ხიდიხეობი ნაგებობა, რომელდაც გაყვანილია გზა, 22. ცხოველი, 23. მდინარე ესტონეთში, 24. ჩეხეთ-სლოვაკეთის დედაქალაქი, 26. სოფელი გორის რაიონში, 27. სამუშაო იარაღი, 32. ძველი სკანდინავიური ეპიკური ძეგლი.

ის ერთი და სხვა მრავალი!



24 დეკემბერს „თეორ გალერეაში“ დასრულდა თბილისის სამხატვრო აკადემიის მონუმენტური მოხატვის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტების ნიკა ცინცაძის, ჭემალ აბაიშვილის, ალექსანდრე ლომთაძის, გიორგი მეფისწყერის, გელა ლაშის ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვა. თუმცა... „არც ერთი ნახატი არ გაყიდულა. სპეციალურად დაეადეთ ხელმოწერდომი ფაგები...“ რას გულებ... და მანც, დიდი სურვილი გავქვს, შემოგთავაზოთ „დაწუნებული“, „გაუყიდავი“ და ამასთან, ჩვენი ფოტოაპარატით „დამახინჯებული“ რამდენიმე ნამუშევარი.

საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებამ — ქორწინებასთან დაკავშირებული ცენზის შერბილების თაობაზე — წინასწარმეტყველურად განქვრიტეს უნივერსიტეტის ყურნალისტიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების II კურსის სტუდენტებმა. 66-დან გაბენიერებულია 12 გოგონა და 1 ვაჟი, 1990 წელს დაიბადა 7 (!) ბავშვი, მე-8 კი... ჩვენი გაზეთის გამოსვლას ელოდება!

კარგია?

ჯერ ხადა ხართ?

გოლოთმამა:


მათ კი, ვინც დადებით გამოხმაურებას გამოგზავნიან რედაქციაში ჩვენი „...“ მისამართით, ელის განუმეორებელი პრიზ-პრიზი!!! გამოხმაურების გამოგზავნის ვადა მხოლოდ 3(0) დღეა.

- ახლა კი უნდა დაგეშვადობოთ.
- ერთიც დაგელიათ!
- რა, თქვენი მოთმინება?
- ასე რომ, რედაქტორი პნზ ბაბ-

ნიქა და... შია თაბაგარი, ღელა მაისურაძე, ირმა ვახინავილი, ირმა ნითაროშვილი, დარიკო გოგოლი, სოფიკო ქათამაძე, ცირა აბულაძე, ზურა ჭიბერაშვილი, აკაცი ბერენიშვილი, ირაკლი ტაბიძე, შოთა ურთოლიანი, არჩილ ჩხარტიშვილი, მხატვარი ღელა ქომეთიანი... ვისაც ოდნავც კი არ ებარება ეჭვი „...“ წარმატებაში, ელიან თქვენს წერილებს, შენიშვნებს, მოხარებებს. მკაცრად ნუ განგვხვით. „გვატყვიან, ბატონო!“

მე არ მომწონს

საქვეყნოდ ცნობილი კომლემბელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი **ბაბრიელ ბარძიმა შარქანი** იაპონიაში გაემგზავრა, სადა უნდა შეხვედეს კინორეჟისორ აკირა კუროსავას. თავისი მოგზაურობის დროს ის, აგრეთვე, ეწვევა პარიზს და მოსკოვს, რათა საქუთარი თვალთ ნახოს, თუ რა ხდება დღევანდელ ცვალებად ევროპაში. თუმცა „მარტოობის ასი წლის“ ავტორს მაინცდამაინც არ სჭება.



სტალინისტი. რატომ არის რომ თქვენ, ინტელიტულები, შეიკრებიხით თუ არა, მაშინვე ერთმანეთს კრიტიკას იწყებთ?

— მე, როგორც გრემ გრინი იტყვოდა, არ ვარ ინტელიტუალი. მე მწერალი ვარ, რომანისტი. რომანისტიები კი ინტელიტები არ არიან. თუ არა, მათ გრძობები, თუ არა, მათ გრძობები, თუ არა, მათ გრძობები. ჩვენ, მწერლებს, ლაიონურ ამერიკაში ბედმა გვიმუხტოლა. ყველაფერი, რასაც ჩვენ ვამბობთ, ფართოდ რეზონანსს იძენს, რადგანაც ჩვენ ჩვენი საზოგადოების საწყისად გვევლინებით. რა უბედურება არ დაგვიტყობია, როგორც ჩანს, ქვეყნისათვის, თუმცა, ძნელად წარმოიდგინებია კონფერენცია, სადაც დანტე საბაზრო ეკონომიკაზე დაიწყებდა მსჯელობას. ჩვენ ვინც არასოდეს ვყოფილვართ არც სტალინისტიები და არც კომუნისტიები, სრულიად თავისუფლად ვაზროვნებთ, მაგრამ ზოგიერთ ძველ სტალინისტს სინდისი იმდენად აქვს დამძიმებული, რომ ისინი საწინააღმდეგო უკიდურესობაში გადაადრდნენ და დემოკრატიული ფუნდამენტალიზმის ახალი სხესხვაობის აღიარება დაიწყეს. ორი ათასი წლისათვის კი საერთოდ არაფერი იყო ფუნდამენტალიზმი არ უნდა იყოს. ჩვენ სამთხისავე უნდა ვისწრაფოდეთ, სადაც შესაძლებელი იქნება სამყაროს ყოველივე მოქმედი ფორმის განვითარება და იდეოლოგიის განვითარება. ჩვენ შევძლებთ, რომლებიც მთელი ლათინური ამერიკის ინტელექტუალური მომხრეები ვართ და ვისწრაფვით ჩვენი შესაძლებლობებიდან ყველა საკუთარი პრობლემების გადაჭრას. აღმოსავლეთ ევროპაში იმდენად მოხდა ცვლილებები, რომ გორბაჩოვმა შექმნა ამისათვის პირობები. კუბა და ლათინური ამერიკა აშშ-ის ორბიტაში იმყოფება. შესაბამისად სწორედ აშშ-მა უნდა შექმნას პირობები რეალური ცვლილებებისათვის და თავი დაანებოს რაღაც ეშმაკების ღეშასს.

(მხედველობაში მაქვს პრობლემის ეკონომიკური ასპექტი) და მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობენ საზოგადოებრივ, ის კვლავ სარგებლობს თავისი ხალხის მხარდაჭერით. ფიდელს არ დააბოხნენ. კუბელი ხალხი არ აღსდგება მის წინააღმდეგ. ამასთან მდგომარეობა კუბაში იცვლება, ქვეყანა უფრო უფრო ღია ხდება. დაიწყო ნამდვილი სახალხო ბუნტი პარტიის ბიუროკრატიული აპარატის წინააღმდეგ, რომელიც უნდა შეიცვალოს, უფრო დემოკრატიული უნდა გახდეს, მაგრამ ეს არ არის სოციალიზმისა და ფიდელ კასტროს წინააღმდეგ მიმართული ბუნტი. ეს არის ფიდელის კრიტიკა და არა დამხობის ბუქარა. ფიდელს არ მოეღოს ის, რაც ჩაუშეს კუბაში.

— კუბასთან ლათინური ამერიკის სოლიდარული ქვეყნები და მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნები რჩებიან. არგენტინის ახლა პერუს ეკონომიკური მდგომარეობა კუბის მდგომარეობაზე არანაკლებს სავალალო. კუბასთან ვრჩებით ჩვენ, ლათინური ამერიკელები, რომლებიც მთელი ლათინური ამერიკის ინტელექტუალური მომხრეები ვართ და ვისწრაფვით ჩვენი შესაძლებლობებიდან ყველა საკუთარი პრობლემების გადაჭრას. აღმოსავლეთ ევროპაში იმდენად მოხდა ცვლილებები, რომ გორბაჩოვმა შექმნა ამისათვის პირობები. კუბა და ლათინური ამერიკა აშშ-ის ორბიტაში იმყოფება. შესაბამისად სწორედ აშშ-მა უნდა შექმნას პირობები რეალური ცვლილებებისათვის და თავი დაანებოს რაღაც ეშმაკების ღეშასს.

— როგორ შეაბუქდით ეს ახდენს თქვენე იერობა, როცა მას ლათინური ამერიკიდან უყურებთ? — ევროპელები ფიქრობენ, რომ ევროპა სამყაროს ცენტრია. ესპანეთი ყოველთვის განმარტობებით იდგა და არ იღებდა მონაწილეობას ევროპულ „სამპრაციაციო“ ახლა კი მანაც დაგზავნა თავისი ბოძალები სპარსეთის ყურეში და ისიც „მიღებულია“ ევროპაში — ჩააბარა გამოცდა. ზუსტად ისევე უკან ესპანეთმა სამი მომცრო გემი გაგზავნა, რათა გამოეცა ინდოეთისაკენ და ამით შეეცვალა სამყარო. ჩვენ, ლათინური ამერიკელებმა ვიცით, ევროპა მხოლოდ იმას გვაპატივებს, რასაც ჩვენ მისი მიზანმიმართული ვაკეთებთ. მე საშინლად მტყავის იმის შეცნობა, რომ ესპანეთი იწყებს ევროპასთან გაერთიანებას. ეს იგივეა, დედაშენი სხვა ქვეყნის სახელით რომ წავიდეს დასაძინებლად. აჰ, ესპანეთმა შესარქულს ყველა თავისი ვალდებულება ევროპის მიმართ, მაგრამ ამან გავლენა არ უნდა მოახდინოს მის მიმართკენებულ ლათინურ ამერიკასთან, ურთიერთობაზე, რომელსაც ჩვენთვის პირველხარისხიანი მნიშვნელობა აქვს.

— რას ფიქრობთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევოლუციაზე? — ევროცენტრის და ევროპულმა ევოცენტრის შიშმა, შეიძლება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზეც მოახდინოს გავლენა. ამ ქვეყნების რეჟიმები უნდა დამხობილყო და ეს განხორციელდეს, თუმცა დიდი დაგვიანებით, მაგრამ რა იქნება მომავალი? როგორ პირობებს მოახვედრს თავს? მოითხოვენ რომ მათაც აღიარონ ის ფორმულა, რომელიც ევროპაშია გაბატონებული? ამ ქვეყნებთან სოლიდარობის გამოცხადება არ ნიშნავს გაათავისუფლო ისინი ერთი დამოკიდებულებიდან იმ მიზნით, რომ მეორე მოახვიო თავს. მათთან სოლიდარობა ნიშნავს — მისცე საშუალება დამოუკიდებლად იმოქმედონ საკუთარი საქმე.

— რა მდგომარეობაა კუბაში აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი ცვლილებების ფონზე? — ვფიქრობ, რომ კუბა ღრმა სოციალურ გარდაქმნებს საქართვეებს, მაგრამ არა აუცილებლად ისეთს, როგორც სურთ რომ გარედან მოახვიონ. მე ძალიან მაინტერესებს საქმიანობა მიქაილ გორბაჩოვთან: რადგანაც აღმოსავლეთ ევროპაში დაიწყო მარქსისტული რეჟიმები, ესე იგი ის კუბაშიც უნდა დაემხოს, ალბათ, დამეთანხმებით, სრულიად სხვა უწყურებელ და განითხოვებელ ყველაფერს თვალყურს. კუბის წინაშე საშინელი პრობლემები დგას, რომლებიც კომლემბე უფრო გაღრმავდება, რადგანაც ოცდაათწლიან ბლოკადას, რომელსაც შეგნებულად ანხორციელებდა აშშ, ახლა უფრო დიდ სიღრმეში ბლოკადასა და მისგან გამოსავალი უნდა იქნება ხეივანი. დღესდღეობით სამხრის მხრიდან, ლექსდღეობით სამხრეთა კავშირის თავისთვის არ გააჩნია აუცილებელი სახსრები, ყოველ შემთხვევაში, მას არ შეუძლია კუბის დახმარება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სანამ გორბაჩოვი იქნება ხელისუფლების სათავეში, კუბისადმი დახმარება არ შეწყდება. ფიდელ კასტრო ქვეყანას უარესისათვის ამზადებს

— რომელი ეშმაკები გაქვთ მხედველობაში? — პირველი ეშმაკი აშშ-სთვის იყო კომუნისტი. ახლა ეს არის ნარკობიზნესი. არის სხვა, უფრო მომცრო ეშმაკები. მაგალითად, ნორიეგა, დანიელ ორტეგა, სანდინიზმი და, ბუნებრივია, ფიდელ კასტრო. ნორიეგა მოიშორეს — შედეგად რა მივიღეთ? პანამაში უბრალოდ მდგომარეობაა, ვიდრე ადრე იყო. პრაქტიკულად ის აღარ არსებობს. ძალიანძვირი გუბით, მთ შორის, სამხედრო ძალით მოიშორეს ორტეგა. შედეგი? მდგომარეობა ნორიეგაზე კიდევ უფრო გაუმჯობესდა. ვოლანტა ჩამორი მხოლოდ სანდინისტებს დახმარების წყალობით ახერხებს ძალაუფლების შენარჩუნებას. იმთა გარეშე მას დიდი ხანია ჩამოაგდებდნენ. ჰოდა, დღე თავი დაანებონ ფიდელ კასტროს და მისცენ საშუალება კუბას, რომელსაც უკვე ბევრი ტანჯვა გადაიტანა (არა ფიდელის მიზეზით, არამედ შეტარების მიერ გამოცხადებული ბლოკადის გამო), რათა საკუთარი ნება-სურვილით გადაწყვიტოს თავისი პრობლემები. მხოლოდ ფიდელს შეუძლია განახორციელოს ცვლილებები კუბაში. მის გარეშე ქალის იქნება ქალის კი არავის სჭირდება.

— ხაერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც თავისუფლების საკითხებს მიეძღვნა და ამ ცნობის წინაშე ჩატარდა შექსიკაში, ხაკმაოდ ხეროლული ბრალდებები გაიხმა. თქვენ კასტროისტი ვიწოდებთ, პაბლო ნერუდას კი —

ეს სამყარო

რომ ეს ცვლილებები უკეთესობისაკენ არის მიმართული. იტალიურ-მა ურნალმა „ეპოკამ“ დაბეჭდა ინტერვიუ მწერალთან. მწერლის პოლიტიკურ მხედრობაში ზოგიერთ მოხატვებს შესაძლოა სუბიექტურობის ელფერი დაჰკრავდეს, მაგრამ ალბათ გასათვალისწინებელია, რომ საქმე გვაქვს ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს შემოქმედთან, თანაც იგი ე. წ. „მესამე სამყაროს“, ანუ კარიბის ზღვის აუზის ქვეყნის წარმომადგენელია.

თქვენი რომანის „მატრიარქის შემოღობვის“ ეკრანიზებას აპირებს. — აკირა კუროსავას არაერთხელ შემოუთვლია ჩემთვის, რომ სურს ჩემთან ერთად გადაიღოს რამე ფილმი. იაპონიაში ჩემი წიგნები არაჩვეულებრივი მოთხოვნით სარგებლობენ. ეს წინადადება მე საკმაოდ მიმზიდველად მომეჩვენა, მაგრამ არ ვიცოდი, რისი გავლენა შეგვექონო ერთობლივად. ბოლოს მე მომივიდა იდეა „მატრიარქის შემოღობვის“ ეკრანიზებისა. ამის შესახებ მას შევატყობინე. აკირა კუროსავა დიდ ხანს ღუშოდა. მე ვერ მოვიტონინე და ვკითხე, თუ რაშია საქმე. კუროსავამ გადმომა, რომ ასაკი საშუალებას არ აძლევს, რათა ფილმის გადასაღებად კარიბის ზღვის რაიონში ჩამოვიდეს. მე ვუპასუხე, რომ ამ ფილმის გადასაღებად შესანიშნავად შეიძლება იაპონიაშიც. ახლა ჩვენ შევხვდებით და ყველაფერს დავაზუსტებთ.

— თქვენ ყველაზე მაკდუნებელ წინადადებებს არ დათანხმდით, რათა „მარტოობის ასი წლის“ მიხედვით გადმოვიღოთ „მატრიარქის შემოღობვის“ ეკრანიზაცია? — მე თავიდანვე ვიცოდი, რომ მისი მალაპოტურ ნაწარმოებს შექმნის, ამიტომაც მისი მუშაობა ძალიან მიინტერესებს. საერთოდ მე არ მინდა, რომ ჩემი რომანები ეკრანზე იქნან გადართმობილი. კინოსათვის ანდა ტელევიზიისათვის მე სხვაგვარად ვწერ, რომანი მკითხველს სივრცე უტოვებს შემოქმედებითი გააზრებისათვის. კინოში კი მზა სხვ მათუტებელს წარმოუბანვის, შემოქმედების საშუალებას არ აძლევს.

— ამჯერად რაზე მუშაობთ? — მე მუშაობე, ჩერჩირობით — არაერთიანი რომანები. მე უსიტსემოდ ვწერ. ყოველთვის აღვნიშნავ იმას, რისი დავიწყებაც არ მინდა. ვწიწობ, რომ მე რე არ გაკეთების დრო აღარ მექნება. წერის დროს არ მივსდევ ქრონოლოგიას და მრავალ ერთმანეთთან დაუკავშირებელ დამოუკიდებელ თავივებს ვწმნი. მაგალითად აღვწერ ჩემს შეიქმნილი ცხოვრებას ბარსელონაში, ვიგონებ საკუთარ ბავშვობას, ანდა ვწერ ნობელის პრემიაზე.

— ნობელის პრემია ერთ-ერთია მათ შორის, რომლის მიღებაც უარი არ გითქვამთ. — დიახ. და მე არ ვაპირებ კიდევ რომელიმე პრემიის მიღებას. მე არ ვკითხულობ მოსხენებებს, არ წარმოვადგენ საკუთარ წიგნებს, არასოდეს მიმიღია მონაწილეობა ჩემს საპატივცემულოდ გამოართულ სახეობა აქტივებში — არც ნობელის პრემიის მიღებამდე და არც შემდეგ.

სამუარის შემოღობვა

გაბრიელ ვარსია მარკესის ტოკიოში გამგზავრების ოფიციალური „საბაზია“ იაპონურ ენაზე თარგმნილი მისი ბოლო რომანის „გენერალი თავის ლაბირინთში“ მკითხველმისათვის წარდგენა. მაგრამ მწერლის უბის წიგნაქში მითვის ერთი ყველაზე მნიშვნელო-

ვანი შეხვედრაა ჩანიშნული — რუხისორ აკირა კუროსავასთან, ვისთან ერთადც უნდა გადაწყვიტოს თავისი მეორე რომანის „მატრიარქის შემოღობვის“ ეკრანიზაციის საკითხი. ეს სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა. მარკესისა და კინემატოგრაფიის ურთიერთობა საქმაროელ რთულ ხასიათს ატარებს. მწერალი ყოველთვის გადაჭრით უარყოფდა წინადადებებს მისი რომანების ეკრანიზაციაზე. ის იშვიათი შემთხვევებით კი, როდესაც თავისი მოხატვითი, სანაწილო გავლენა. ასე იყო „ერტენდირაზე“ (რთულ რუხის მიერ დადგმულ ამ ეკრანიზაციას წარმატება არ მოხერხდა); ასე იყო მოგვიანებით ფრანკესკო როსის მიერ გადაღებული „გამოცხადებული მკვლელობის კრონიკაზე“, რომელიც პრესამ მკაცრად გააკრიტიკა; რამდენიმე წლის უკან მარკესმა დაუთმო რომბრტ რედფორდის დაუინებულ თხოვნას, რომელსაც სურდა ეკრანზე გადაეტანა რომანი „პოლკოვნიკს არავინ არ სწერს“, მაგრამ ამ შემთხვევაშიც იმედი გაუცრუვდა: ეს პროექტი პოლკოვნიკს ჯუგანდებში დაიკარგა, ამიტომაც ის არის განსაკუთრი მარკესის სიტყვები, რომ არასოდეს მიწყვიდის კინემატოგრაფისტებს თავისი შედევრის „მარტოობის ასი წლის“ ეკრანიზაციის უფლება. რუხისორ აკირა და პარალელურებს ის უცვლელად დასახლდა. „ჩემი სიყვლილიდან 50 წლის შემდეგ რომანი საზოგადოებრივი საკუთრება გახდება, მოდა, მაშინ შევქმნე მათ შორის მათ და, როგორც მოგვიანებით ვთქვამ.

და მანაც, ვარსია მარკესს ძალიან უყვარს კინო. ახალგაზრდაობაში იგი ერთი წელიწადი რომის კინემატოგრაფიულ ცენტრში სწავლობდა, შემდეგ ორი კონოსკოლა დააარსა — მეხიკოში და მანანაში (ეს იგი დამრეტორია და სპონსორიც და მარქათმელოც). ამ სიყვარულის გამო გადაწყვიტა კოლუმბიელმა მწერალმა დიდი აკირა კუროსავასთან გამოსაჯილის და შევედა: ბოლო დროს უკვე დაბრუნებულ და ჩანმრთებლობაში რეკომენდებული მარკესის უფრო მეტი უკომუნიკაციო უფლები ნადირობის ამ ფართო კამპანიაში ალბათ სხვებთან შედარებით მიაღწა მარკესს უნდა ჰქონდეს. სხვნიანისი სხანსა დე ლა ბარას ისტორია, რომელიც იხე დიდ ხანს იტალიაში, რომ არავინ ახსოვს მისი დაბადება და მთელი ლათინურ ამერიკელი დიქტატორების ხიზოლო გახდა, კუროსავას ხელში უნდა გადაიქცეხ ერთი ლეგენდარული სამურაის ისტორიად.

კოლუმბიელი ნობელის პრემიის ლაურეატისათვის ეს მეტად საბატლო საჩუქარი იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ კი იგი ვერ დაიქმყოფილებს თავის სანუჰარ ოცნებას — თვითონ გახდეს რუხისორი. ამ საბახუნისმგებლო ნაბიჯის გადაღმა კი მას ვერა და ვერ გადაუწყვიატია.

პუბლიკაცია მოამზადა ბიორბი სუბალიანა



გინესის რეკორდების წიგნი, ანუ ადამიანის შესაძლებლობათა ფანტასტიკური მიღწევების ენციკლოპედია, მილიონობითაა გამოცემული მსოფლიოს მრავალ ენაზე.

ამბობენ, ამ წიგნის ყველა ეგზემპლარი რომ შევკრიბოთ და ერთმანეთზე დავაწყოთ, ათასი მწვერვალი გამოვა და თითოეული ჯომოლუნგმას სიმაღლისა.

გინესის უპოპულარეს წიგნში ორად ორი ჩართულია წარმოდგენილი. პირველი — ჯუმბერ ლეკავა, რომელმაც თავისი ოთხი რეკორდით მსოფლიო გააჯიღრა — იატაკიდან ერთი საათის განმავლობაში 4447-ჯერ აიზიდა. ხუთ საათში — 16274-ჯერ, თორმეტ საათში — 34955-ჯერ, წლის წამში — 5300000-ჯერ. ამ შედეგებით მან საგრძნობლად დააჯანა ინგლისელი პედი დოილი და სხვანი.

მეორე: ვეფხია სულუაშვილმა 5,2 ტონის სიმძიმის სატვირთო მანქანა კბილებით 3,5 მეტრზე გაათრია (ბელგველი ჯონ მასისის რეკორდი 2 მეტრი და 33 მილიმეტრია).

მესამე: ამ დღეებში ნუკრი დენიაშვილმა 311 ჰიანქველა გადაყაპა. ეს მაჩვენებელი უნდა ჩათვლილიყო ახალგაზრდა თბილისელის ახალ რეკორდად (იპონელი ჰიანქველაჰამას შედეგია 264), მაგრამ როგორც საქართველოს არაჩვეულებრივი რეკორდების კლუბის პრეზიდენტმა, ბატონმა ჯუმბერ ლეკავამ განმარტა, ეს რეკორდად არ ითვლება, გინაიდან ღრმუცელების განყოფილება გინესის წიგნიდან 1989 წლიდან ამოღებულია!

ასეა თუ ისე, პირველი, მეორე და მესამე, ინდივიდუალური რეკორდებია, ხოლო გუნდურში ჯერჯერობით არ გვითქვამს ჩვენი სიტყვა. მაგრამ როგორც ვაიროკვა, ეს მთლად ასე არაა. გააპატიონ ზემოთ ჩამოთვლილმა პირებმა, რომლებმაც სრულიად დამსახურებულად მოიპოვეს უფლება, მოიხსენიებოდნენ მსოფლიოს ამ უპოპულარეს წიგნში, მაგრამ ჩვენ კიდევ ერთი რეკორდი გვეკუთვნის, თუმც მისით მაინც და მაინც ვერ ვიამაყებთ.

ცნობილია, ყოველ ვრს, ქვეყანას, მცირე იქნება თუ დიდი, გამორჩეული უყვარს ესა თუ ის ცხოველი. ჩვენი წინაპრებისათვის, მაგალითად, სათაყვანებელი იყო ხარი, ცხვარი, ცხენი, ნაგაზი, კამიჩი, ირემი, ჯიქი, ჯახვი, არწივი, შეიარაღენი, ხობობი, თევზი, ფუტკარი, აბრეშუმის ქია... ამიტომაც არის, რომ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ქსოვილები თუ წიგნები უპირატესად მათი ხატითაა დამშვენებული.

მაგრამ რაც იყო — იყო... გავიდა ხან, იცვალენ დრონი, მოძრაობას მოჰყვა უძრობა, ახალ თაობას ახლებური გაუჩინდა რწმენა, და დღეს საქართველოში, როგორც კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, ყველაზე პოპულარული ცხოველია... კატა(!)

ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ჩვენში კატებით (კატები-კნუტებით) დამშვენებული კალენდრის იმდენი ვარიანტი გამოქვეყნდა, ხოლო საერთო ტირაჟმა იმდენს მიიღწია, რომ ამ მაჩვენებლით ჩვენმა გამოცემლებმა და პოლიგრაფისტებმა კარგა ხანია, უკან ჩამოიტოვეს 6000-წლოვანი ისტორიის მქონე ისეთი ქვეყნებიც კი, როგორცაა ეგვიპტე, ირანი, ინდოეთი და ჩინეთი...

კოლექციონერთა მტკიცებით, ამ საქმეში პირველობა რუსთავეის პოლიგრაფიულ საწარმოო გაერთიანებას ეკუთვნის, სწორედ აქ ვეფხვის (1986) წლისათვის დაიბეჭდა ოთხნუტიანი კედლის კალენდარი — საერთო ტირაჟი 5 ათასი. ცოტა ხანში, იმავე გაერთიანებაში შემოსხენებულ ოთხი ფისუნისასურათიანი ძველი კალენდარი, 1987 წლის მონაცემებით შეცვალა და 150 ათასი ტირაჟით გამოცა.

რაც შეეხება თბილისს, ბოსტანქალაქის თაოსნობა № 17 სტამბამ აიტაცა და განავითარა — ოთხი ფისუნისასურათი აქ 1987 წლის კალენდრად გადააქცია, ასე ათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა და გაავრცელა.

ყველა გამოცემა სწრაფად გიყვოდა. ამიტომაც შესანიშნავი თაოსნობით დაინტერესდნენ ელექტ-

როტექნიკური მრეწველობის სპეციალისტები, თბილისის ქარხანა ელექტროძირების მესვეურნი და მრავალ ათეულ ათასი დიდი და მცირე, მრგვალი თუ ოთხკუთხა ფისუნისგამოხატული სინი და ლანგარი დაამზადეს.

ამის შემდეგ ციციუნებმა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წყალტუბოს საწარმოს მრავალათეულ ათასი ორიგინალური (2 მანეთის და 65 კაპიკის ღირებულების) საკურორტო ჩანთა დაამზადეს.

უცებ, ფისოთა ოთხეულიდან ორი საღდაც გაქრა, ორმა კიდევ მსუბუქი მრეწველობის საწარმოს — „დინამოს“ ექსპერიმენტული ფაბრიკის ნახელავ პლედზე გადაინაცვლა და ასევე მრავალი ათეული ათასი ოჯახი ჩაათბუნა (მკითხველს მოვჯონებთ, პლედი უნივერსალური ქსოვილია, იგი დეკორატიული ხალიჩის, წამოსახანის, გნებაზე საბნის მაგვირობას უწყეს აღძრის).

ამ ისტორიაში ზოგი აღმოსავლური კალენდრებით გატაცებულნი ხედავს, მაგრამ ჩინურ-კორეულ-იაპონურ შორსკოპებში ჩახედულნი დაგვეთანხმებთან, რომ აღმოსავლეთი არაფერ შუაშია...

აღმოსავლური კალენდრით 1984 წელი თავისა იყო, ამას მოჰყვა ხარი, ვეფხვი, კურდღელი, ფრთიანი გველეშაი, გველი, ცხენი; ავგერ მობრძანდა თხის, (ცხვის), წელიწადიც; მერე მოვლენ მაიმუნი, მამალი, ძაღლი, ღორი, ამით დასრულდა 12-წლიანი ციკლი, ცის ტატნობზე ისევ გამოჩნდება თაგვი, და ასე დაუსრულებლად, უკუნითი უკუნიხამდე.

ერთი სიტყვით, ტრადიცია — მამული, ენა, სარწმუნოება, ვის ახსოვს, თორემ... ქართლის ცხოვრება, ჩვენი ცხოველთა სამყარო და სულიერნი, მამალი, ძაღლი, ღორი, ამათ საგანძური განა ნაკლებსაინტერესოა?

მაშ ასე, შევდიოდ წელიწადში ჩვენმა გამოცემლებმა და მრეწველებმა იმდენი უცხო კატა-მაიმუნ-ძაღლიანი კალენდარი და სხვა ნაწარმი გამოუშვეს, რომ მნიშვნელოვნად „გაამდიდრეს“ საქართველოს ფაუნა.

ამას მოჰყვა აფხაზეთის პოლიგრაფიულ საწარმოო გაერთიანების „ქმნილებანი“ — ქვეზე შეშტარი ორი კატა; ქერა გოგონა და სამი კატა; უჯრით კნუტი და უჯრით ლეკვი; ორი ყურდააავადებული გერმანული მეცხვარის ძაღლი; შოტლანდიური ძე ძაღლი და მისი ორი ლეკვი და სხვა და ა. შ.

კატუნების კალენდრების გამოცემელთა შეჯიბრებაში გვიან ჩაებნენ თბილისის ფერადი და ოფსეტური ბეჭდვის სტამბები, ყურანალისტთა კავშირის ფოტოპოლიგრაფისტები, სამაგიეროდ, ვრძელბეჭდვანი ხატურა კატებ-გამოხატული რუსულ-ქართული და რუსულ-იმგლისური, ჯაქვზე ჩამოკონწიალებული დეკორატიული კალათაში მონებვირე თუ ბროლის ლარნაკში ჩამჭდარი კატის ქართულ-რუსულ-ინგლისურენოვანი, ამ ბოლო დროს კი უცხოელ ქალთა თუ ვაჟთა გამოღვიანებელი პორტრეტებიანი კალენდრებიც ავრეთვე; მრავალი ასეული ათასი ტირაჟით გამოცეს და ჩვენებურ ნახელავს მსოფლიო ბაზრისაკენ დაულოცეს გზა...

ამავე პერიოდში ჩვენში ასეული ათასი ტირაჟით დაიბეჭდა ბენგალური ვეფხვი, გერმანული პუდელი, შოტლანდიური კოლ, რუსული ყორანა, ულავამოხატული ბირში კაკალგაჩრილი მაიმუნის თუ ხმელ ტრტზე მჭდარი თუთიყუშიანი კალენდრები... სულ ეგზოტია საერთო ტირაჟს ელექტროგამომთვლელი მანქანა თუ დაითვლოს!

ერთი სიტყვით, საქართველოს რეკორდი გინესის წიგნისათვის სახეზეა, ოღონდაც ჩვენს რედაქციაში თავმოყრილი ნიმუშები კატალოგისათვის შეიძლება არასაკმარისი იყოს. ამიტომ დინტერესებულ მკითხველს ვთხოვთ, გაგვაცნოს თავისი კოლექცია, რომ საქართველო არაჩვეულებრივი რეკორდების კლუბის შეშეგობით წარვადგინოთ სადაც ჯერ არს.




?? როგორი იქნება ჩვენის წიგნისთვის !!!





ლოტარ მათეუსის ბანაუზისი...



მსოფლიო ფეხბურთის პარასკვლავები

ტრადიციულად, ყოველი წლის დასასრულს, პოპულარული ფრანგული ყოველკვირეული ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი“ აწყობს სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვას ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად. ეს საბატიო და მეტად პრესტიჟული პრიზი — „ოქროს ბურთი“ პირველად მოიპოვა გერმანიის ნაკრებისა და იტალიის „ინტერის“ ცენტრალურმა ნახევარმცველმა **ლოტარ მათეუსმა**. აღსანიშნავია, რომ მათეუსის დასახელება ევროპის უპირველეს ფეხბურთელად არავის გაპყვირებია. იმდენად შთაბეჭდილი იყო მისი თამაში წლებად წელს, რომ, ალბათ, ყველაზე სკეპტიკოს სპეციალისტსაც თუ გულშემატკვარსაც არ შეეძარბოდა ეჭვი მის სიმდიდრეში. დიახ, რომ იტყვიან, სამართალმა პური ჭამა...
გავიხსენოთ, რომ მათეუსმა ბრწყინვალედ ითამაშა იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზეც, რამაც დიდად შეუწყო ხელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მიერ ოქროს მედლების მოპოვებას. სამწუხაროდ, მსოფლიო ჩემპიონატზე საუკეთესო ფეხბურთელად იტალიელი სალვატორე სკილაჩი აღიარეს, რომელსაც არც ჩემპიონატამდე და, მით უმეტეს, არც ჩემპიონატის შემდეგ არაფრით გამოუჩინა თავი. ასეა თუ ისე, მათეუსი ამჟამად სამართლიანად ატარებს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის სახელს. და არამარტო ევროპის — სულ რამდენიმე წლის წინათ პრესტიჟული ინგლისური ყოველთვიური ჟურნალის „უორლდ სოკერის“ მიერ მოწყობილი მეთხველი გამოკითხვის შედეგად **ლოტარ მათეუსი** მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს...

მართალია, მათეუსმა წელს მოიპოვა ასეთი დიდი აღიარება, მაგრამ იგი კარგა ხანია ითვლება

ბოლო ათწლეულის ერთერთ შესანიშნავ ფეხბურთელად.
ლოტარ მათეუსი (დაბადებული 1961 წლის 23 მარტს) 17 წლისა იყო, როდესაც ბუნდესლიგის ერთერთ უძლიერეს (იმ დროისთვის) კლუბში — მიუნხენერლანდის „ბორუსიაში“ ჩაირიცხა. ერთი წლის შემდეგ კი უკვე ძირითად შემადგენლობაში დაიშვებოდა ადგილი და სპეციალისტთა ყურადღებაც მიიპყრო. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი იუბ დერვალი რატომღაც მხოლოდ ეპიზოდურად იწვევდა მათეუსს ნაკრების შემადგენლობაში.
და აი, დასავლეთ გერმანიის ნაკრების სათავეში დგება „კაიზერი“ ფრანცი — გერმანული და, საერთოდ, მსოფლიო ფეხბურთის ერთერთი უბრწყინველესი წარმომადგენელი ფრანც ბეკენბაუერი. ბეკენბაუერმა მოსვლისთანავე ლოტარ მათეუსი ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დააყენა და შემდეგ კი კაპიტნობაც დააქისრა. ჯერ კიდევ 1986 წლის მექსიკის ჩემპიონატზე ელოდნენ მათეუსის გარსკვლავის ამობრწყინებას, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს არ მოხდა. ხოლო 1988 წელს, ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც დასავლეთ გერმანიაში ჩატარდა, მათეუსმა ამჟამად ვერ გაართვა თავი ნაკრების ლიდერობას და ბეგრბა საბოლოოდ „ჩამოყვრა“ კიდევც...

მაგრამ, თვითონ ლოტარ მათეუსი ასე არ ფიქრობდა, რაც ბრწყინვალედ გამოვიჩინა როგორც მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე, ისე იტალიის პირველობაზეც, სადაც მათეუსი ერთერთი უძლიერესი გუნდის — მილანის „ინტერის“ ლირსებას იცავს. აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ინტერამდე“ მათეუსი ბუნდესლიგის ყველაზე ტიტულოვანი და ძლიერი კლუბის — მიუნხენის „ბავარიის“

ლირსებას იცავდა წლების განმავლობაში.
იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ბევრ ფეხბურთელს გარკვეული ფსიქოლოგიური ჩავარდნაც ჰქონდა, ზოგ კიდევ ვერ გამოსულა ეიფორიიდან (სკილაჩი, ვიალი, კარეკა...), მათეუსი კი „ინტერის“ შემადგენლობაში შესანიშნავად ატარებს როგორც ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს, ასევე უფას თაისს შეხვედრებსაც. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მან დიდი უპირატესობით მოიპოვა „ოქროს ბურთი“ და საგრძნობლად გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ სალვატორე სკილაჩის („იუვენტუსი“, იტალია).
ევროპის საუკეთესო ფეხბურთელია ათეული კი შემდეგნაირად გამოიყურება.
1. ლოტარ მათეუსი („ინტერი“);
2. სალვატორე სკილაჩი („იუვენტუსი“);
3. ანდრეას ბრემე („ინტერი“);
4. პოლ გასკოინი („ტოტენჰემ ჰოტსპურის“);
5. იურგენ კლინსმანი („ინტერი“);
6. ენცო შიფო („ოსერის“);
7. ფრანკო ბარეზი („მილანის“);
8. რობერტო ბაჯო („იუვენტუსის“);
9. ფრანკ რიჩიარდი („მილანის“);
10. კვიდო ბუზიგალი („შტუტგარტი“).
დასასრულ, „ახალგაზრდა ივერიელის“ მკითხველს კიდევ ერთხელ გავახსენებთ „ფრანს ფუტბოლისა“ და „უორლდ სოკერის“ ყველა ლაურეატს. შეგახსენებთ, რომ „ფრანს ფუტბოლი“ ასახელებს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს, ხოლო „უორლდ სოკერი“ — მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს, მწვრთნელს და კლუბებს (ნაკრებებს).



„ოქროს ბურთის“ ლაურეატები
(„ფრანს ფუტბოლი“):
1956 — სტენლი მეტიუზი („ბლექჰული“);
1957 — ალფრედო დი სტეფანო („რეალი“ მადრიდი);
1958 — რაიმონ კოპა („რეალი“ მადრიდი);
1959 — ალფრედო დი სტეფანო („რეალი“ მადრიდი);
1960 — ლუის სუარესი („ბარსელონა“);
1961 — ომარ სივორი („რეალი“ მადრიდი);
1962 — იოზეფ მასოპუსტი („დუკლა“ პრაღა);
1963 — ლევ იაშინი („დინამო“ მოსკოვი);
1964 — დენის ლოუ („მანჩესტერ იუნაიტედი“);
1965 — ეუსებუი ფერეირა და სილვა („ბენფიკა“);
1966 — ბონი ჩარლტონი („მანჩესტერ იუნაიტედი“);
1967 — ფლორიან ალბერტი („ფერენცვაროში“);
1968 — ჯორჯ ბესტი („მანჩესტერ იუნაიტედი“);
1969 — ჯანი რივერა („მილანის“);
1970 — ვერდ მიულერი („ბავარია“);
1971 — იოჰან კრუიფი („აიაქსი“);
1972 — ფრანც ბეკენბაუერი („ბავარია“);
1973 — იოჰან კრუიფი („აიაქსი“);
1974 — იოჰან კრუიფი („აიაქსი“);
1975 — ოლეგ ბლოხინი („დინამო“ კიევი);
1976 — ფრანც ბეკენბაუერი („ბავარია“);
1977 — ალან სიმონსენი („ბორუსია“ მიუნხენერლანდის);
1978 — კევი კეანი („ჰამბურგერ შვ“);
1979 — კევი კეანი („ჰამბურგერ შვ“);
1980 — კარლ-ჰაინც რუმენიგე („ბავარია“);
1981 — კარლ-ჰაინც რუმენიგე („ბავარია“);
1982 — პაოლო როსი („იუვენტუსის“);
1983 — მიშელ პლატინი („იუვენტუსის“);
1984 — მიშელ პლატინი („იუვენტუსის“);
1985 — მიშელ პლატინი („იუვენტუსის“);
1986 — ეგორ ბელანოვი („დინამო“ კიევი);
1987 — რუდ გულიტი („მილანის“);
1988 — მარკო ვან ბასტენი („მილანის“);
1989 — მარკო ვან ბასტენი („მილანის“);
1990 — ლოტარ მათეუსი („ინტერი“).
მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელი და კლუბები (ნაკრებები):
1982 — პაოლო როსი („იუვენტუსის“), ენცო ბეარზოტი (იტალიის ნაკრების მწვრთნელი) და იტალიის ნაკრები;
1983 — არტურ ანტუნეს კოამბრა ზიკო („ფლამენგო“ — „უდინეზე“), ზუპე პიონტეკო (დანის ნაკრების მწვრთნელი) და „ჰამბურგერ შვ“ (გფრ);
1984 — მიშელ პლატინი („იუვენტუსის“), მიშელ იდალგო (საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი) და საფრანგეთის ნაკრები;
1985 — მიშელ პლატინი („იუვენტუსის“), ტერი ვენიბლსი („ბარსელონის“ მწვრთნელი) და „ივერტონი“ (ინგლისი);
1986 — დიეგო მარადონა („ნაპოლი“), გი ტისი (ბელგიის ნაკრების მწვრთნელი) და არგენტინის ნაკრები;
1987 — რუდ გულიტი („მილანის“), იოჰან კრუიფი („აიაქსის“ მწვრთნელი) და „პორტო“ (პორტუგალია);
1988 — მარკო ვან ბასტენი („მილანის“), რინუს მიხელსი (ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი) და ჰოლანდიის ნაკრები;
1989 — რუდ გულიტი („მილანის“), არიგო საკი („მილანის“ მწვრთნელი) და „მილანი“ (იტალია);
1990 — ლოტარ მათეუსი („ინტერი“), ფრანც ბეკენბაუერი (გფრ-ის ნაკრების მწვრთნელი) და გფრ-ის ნაკრები.

1984 — მიშელ პლატინი („იუვენტუსის“), მიშელ იდალგო (საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი) და საფრანგეთის ნაკრები;
1985 — მიშელ პლატინი („იუვენტუსის“), ტერი ვენიბლსი („ბარსელონის“ მწვრთნელი) და „ივერტონი“ (ინგლისი);
1986 — დიეგო მარადონა („ნაპოლი“), გი ტისი (ბელგიის ნაკრების მწვრთნელი) და არგენტინის ნაკრები;
1987 — რუდ გულიტი („მილანის“), იოჰან კრუიფი („აიაქსის“ მწვრთნელი) და „პორტო“ (პორტუგალია);
1988 — მარკო ვან ბასტენი („მილანის“), რინუს მიხელსი (ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი) და ჰოლანდიის ნაკრები;
1989 — რუდ გულიტი („მილანის“), არიგო საკი („მილანის“ მწვრთნელი) და „მილანი“ (იტალია);
1990 — ლოტარ მათეუსი („ინტერი“), ფრანც ბეკენბაუერი (გფრ-ის ნაკრების მწვრთნელი) და გფრ-ის ნაკრები.

სურათებზე: ლოტარ მათეუსი მორიგი შეტევის დაწყებისას; კევი კეანი; ბრაზილიის ამჟამინდელი სპორტის მინისტრი ზიკო.

წინასახალწლო დღეებში ქართველ ქალებს, დედებს, ქალბატონებს და საქალბატონებს, ბევრ საქმესთან ერთად, ერთი ახალი, სასიამოვნოდ საკითხავი ჟურნალიც შეემატა. თუკი ისევ წააწყდეთ ჯიხურებში ჟურნალ „კალიტას“ უსათუოდ შეიძინეთ, თქვენთვის მარინე ვაშაყმაძემ, გულიკო ბაშარულმა, მაკა ბოცვაძემ, ნოდარ სუმბაძემ, ზაზა ტალახაძემ, გურამ წიბახაშვილმა, ქეთი ჟორდანიამ და სხვა ავტორებმა ნამდვილი ქალთა ჟურნალი გამოაცეს, თუმცა, ჟურნალი არა მხოლოდ ქალებისათვის — აქ ბევრ საგულისხმოსა და საინტერესოს მამაკაცებიც ამოიკითხავენ.
ვულოცავთ ჟურნალ „კალიტას“ და მის კოლექტივს დაბადებას.

კალიტა
0'90

გამოვიდა კიდევ ერთი ახალი გაზეთი... ამ საგაზეთო ბუმის დროს, ყოველ ახალ გამოცემას მკითხველის არაერთგვაროვანი რეაქციაც მოყვება ხოლმე. მაგრამ, ეს სულ სხვა გაზეთია — თავისუფალი სპორტული გაზეთი „სარბიელი“.
როგორც სარდაქციო წერილში აღნიშნული: „ახალი გაზეთის დაარსება, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ეს შედარებით იოლად ხერხდება, დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. საქმე მარტო საგაზეთო ტირაჟის გაყიდვა-არაგაყიდვას არაა, უარეს შემთხვევაში, მატერიალურად იზარალებ და ეს იქნება. შეუდარებლად მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობა მკითხველი-

სარბიელი

გაგაჩვენა ჩვენს მკითხველს!

სა და, ცხადია, ქართული სპორტის წინაშე, რომლის ერთერთი თანამდგომი, იმედი გააქვს, ჩვენც ვიქნებით...
„სარბიელი“ პირველ ნომერში სპორტის მოყვარულნი ბევრ საქმესთან ერთად, სასიამოვნოდ საკითხავი ქართული თუ უცხოეთის სპორტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ „სარბიელი“ აწყობილი და დეკაბადონებულია კომპიუტერული წესით, რაც გრაფიკულად მეტად მომგებიანს ხდის. „სარბიელის“ რედაქტორია ზურაბ ფიცხვერია.

ჩვენი გაზეთის შემადგენელი ნომერი გამოვა შაბათს, 5 იანვარს.

სალომარია ქვერული
Общественно - политическая молодежная газета
«Ахалгзрда Иверელი»

ტილფონები: მისაღები — 93-97-31;
პანუსხისმგებელი მდივანი — 93-21-56;
წერილების ვანყოფინება — 99-00-49.

საქართველოს კ. ც. -ის ტკამა 380098, თბილისი-98, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება
ოქტომბრი წიხით სავაჭრო კორპუსში, ხომარაულის № 29
8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

გაზეთი გამოდის კვირასი სამჯერ
საშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორია
ზურაბ ბალაჩივაძე

რედაქციის მისამართი
მ. თბილისი — 380098
მ. კოსტავას ქ. № 14.